№ 104
შაბათი, 20 მაისი 1895

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

ივერია

№ 104
შაბათი, 20 მაისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მანანა ზაქარიას ასული ჰეხტმანისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ორმოცის წირვასა და პანაშვიდზედ გარდაცვალებულის მისის დედის **კნეინა ბარბარე დავითის ასულის ჯორჯაძის** მოსახსენებლად თელავის მაზრაში, სოფელ ქისტაურს, წმიდის გიორგის ეკკლესიაში, 21 მაისს, დილით.

თავადი რაფაელ დავითის ძე ერისთავი სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ორმოცის წირვასა და პანაშვიდზედ გარდაცვალებულის მისის დის **კნეინა ბარბარე დავითის ასულის ჯორჯაძის** მოსახსენებლად ქ. ტფილისს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, 21 ამა მაისის, 11 საათზედ, დილით.

ქართული თეატრი.

კვირას, 21 მაისს, 1895 წ.

ქართულის თეატრის რეჟისორის თანაშემწის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულის დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ბ. **რატილის** ხორის მონაწილეობით

I

პირველად ახალი პიესა

ვეფხის-ტყაოსანი

დრამა 5 მოქმედ. და 7 სურ. შოთა რუსთველის „ვეფხის-ტყაოსნიდგან“, სასცენოდ პროზად გადაკეთებული. ნესტან-დარეჯანის როლს შეასრულებს ვ. ნ. მელიქიშვილისა.

II

იჭვიანი

ვოდ. 1 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

მოთამაშენი: ქ.-ქ. მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელიშვილისა, რჩეულიშვილისა; ბ.ბ. შათირიშვილი, გედევანიშვილი, მჭედლიშვილი, კორინთელი, ადამიძე, თამაზიშვილი და სხ.

დასასრულ

ლეკური.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ტფილისი, 19 მაისი.*)

თავ-და-პირველად მოწინააღმდეგე დასის ორატორებმა განაცხადეს—საჭირო არ არის გამგეობის პროექტის განხილვაო, რადგანაც თავად-აზნაურობას უკეთესი პროექტი აქვს შემუშავებული და სადაც ჯერ არს წარდგენილიო. მთელი ერთი სხდომა ისინი ეწინააღმდეგებოდნენ გამგეობის მოხსენების და პროექტის წაკითხვას, თუმცა უმრავლესობას ჰსურდა პროექტის მოსმენა და მის შესახებ სჯა. მათ ეუბნებოდნენ: საქმე ჩვენს ბანკს ეხება, ცვლილების მოხდენა ჰსურთ იმ ბანკის წესდებაში, რომლის პატრონნი და გამგებელნი ჩვენ, ბანკის წევრნი, ვართ, მაშასადამე, ჩვენი უფლებაც და მოვალეობაც არის ჩვენ შესახები საქმე ჩვენ გავსინჯოთ; შესაძლებელია გამგეობის პროექტი მართლა უვარგისი გამოდგეს, მაშინ ჩვენ მას უარ-ვყოფთ სრულიად, ან ამოვირჩევთ კომისიას, რომელსაც დავავალებთ პროექტის შევსებას, გასწორებას და გაუმჯობესებას. ამგვარის მოსაზრების წინააღმდეგ მე და შენ, მკითხველო, ვერას ვიტყოდით, მაგრამ ოპპოზიცია რაღა ოპპოზიცია იქნებოდა, რომ წინააღმდეგობა არ გაეწია. არა, რაღა საჭიროა, ბანკის კრებამ თავისი პროექტი იქონიოს ან თავისი აზრი წარმოსთქვასო, გაიძახოდა მოწინააღმდეგე დასი, როდესაც ჩვენს მაგიერ კარგი პროექტი სხვამ შეადგინა და ჩვენი ზრუნვა-პატრონობა იკისრაო.

ამგვარი ოპპოზიცია სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს!..

როგორც იყო მეორე სხდომაზედ კრებას მიეცა საშუალება პროექტი მოესმინა და მისთვის დიდად მნიშვნელოვანის საქმის გამო თავისი აზრი გამოეთქვა. წაკითხულ იქმნა გამგეობის პროექტის პირველი მუხლი, რომელშიაც პროექტის დედა აზრია, პროექტის უმთავრესი საგანი—ე. ი. ბანკის ყველა წევრთა კრების მაგიერ წარმომადგენლების კრება არის განზრახული.

კრების აზრი გამგეობის პროექტის შესახებ ორად გაიყო. პროექტის მოწინააღმდეგენი უპირატესობას თავად აზნაურობის პროექტს აძლევდნენ. მათის ფიქრით, გამგეობის პროექტს სრულიად არა აქვს თავად-აზნაურობის ინტერესი დაცული; ისინი შიშობენ, რომ არ წაართვას თავად-აზნაურობას გარეშე ელემენტმა ბანკი. ამიტომ კრების ეს (უმცირესი) ნაწილი თხოულობდა გამგეობის პროექტის სრულიად უარყოფას.

გამგეობის პროექტის დამცველნი ამბობდნენ, რომ სრულიად საკმარისია 200 კაცის წარმომადგენლობა ბანკის კრებაზედ; თავად-აზნაურობას, როგორც დაწესებულებას, არავითარი უფლება არა აქვს ბანკზედ; ბანკის ნამდვილი პატრონნი დამფუძნებელნი არიანო, ხოლო დამფუძნებელად და მასთანავე ბანკის პატრონად შეუძლია გახდეს ტფილისის ყოველი თავადი და აზნაური, როგორც-კი დაწესებულს წვლილს შემოიტანსო; რადგანაც თავად-აზნაურობის პროექტში ბევრი რამ არის კარგი და რადგანაც ასეთი საყურადღებო საგანი სწყდება, ნუ ავჩქარდებით, დავავალოთ გამგეობას და ზედამხედველს კომიტეტს, მოიწვიონ ისინი, ვინც თავად-აზნაურობის პროექტი შეიმუშავა, ხელმეორედ განიხილონ, გასინჯონ პროექტი და შემდეგ საგანგებო კრებას წარმოუდგინონ... სწორედ ამ რიგად მოიქცა კრება და ამ დადგენილების წინააღმდეგ არა ითქმის-რა. საქმე ისეთი მნიშვნელოვანია, ისეთი ცვლილება შეაქვს ბანკის წესდებაში, რომ კრება უთუოდ დაუჩქარებლად უნდა მოქცეულიყო. განსხვავებული აზრი პროექტის შესახებ წარმოსთქვა თავ. ვლ. მიქელაძემ. უკანასკნელის ფიქრით, იმისთვის, რომ თავად-აზნაურობის ინტერესი არ დაიჩაგროს, საკმარისი იქნება შეიცვალოს პროპორცია წარმომადგენელთა; მსესხებელთ რაოდენობას გამოეკლოს 25 კაცი და მიემატოს დამფუძნებელთ, მაშინ დამფუძნებელთ 150 კაცი ეყოლებათ კრებაზედ წარმომადგენლად, ხოლო მსესხებელთ 50.

ჩემის ფიქრით, შესაძლებელია, რომ გამგეობის პროექტის დამცველნი და მოწინააღმდეგენი ვლ. მიქელაძის წინადადებამ შეათანხმოს, რადგანაც ასეთის რიგის წარმომადგენლობა თავად-აზნაურობის ინტერესს ღირსეულად დაიცავს და ბანკს განსაკუთრებულს ხასიათს არ დაუკარგავს.

მომავალი გვიჩვენებს, როგორ გაკეთდება პროექტი და როგორ მოეპყრობა დიდად საყურადღებო საგანს საგანგებო კრება.

ლალი.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისში ჩამოიარა სამმა მოგზაურმა ფრანგმა. ლეონ ჰენრიხ ბომელემ, მორის განუამ და ალფონს მოშამ, რომელთაც შემოუვლიათ ხორასანი, ბუხარა და სხვა ქვეყნები.

⁂ „მოსკოვის უწყება“ სწერს, რომ კავკასიის სამკურნალო წყლების გასაუმჯობესებლად აპირებენ გადასდონ 125,163 მანეთიო.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რევიზია გათავდა. რევიზორს დუბეცკის, როგორც ამბობენ, უთქვამს, რომ ბანკი მკვიდრს ნიადაგზეა დამყარებული და თვალ-საჩინო ნაკლულევანებანი არა აქვსო.

⁂ როგორც ამბობენ, ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი ვ. სმიტენი სხვა ადგილზედ გადადის, ხოლო მის ადგილზედ აღმასრულებლად ინიშნება მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი მედიში, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის სამოსამართლოებში იყო დანიშნული რევიზიაზედ. („ნოვ. ობოზ.“)

⁂ ქ. კავკავი: 14 მაისს ვლ. ალექსი-მესხიშვილმა, კ-ნ ბარბ. ავალიშვილისამ და შათირიშვილმა აქაურ სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართეს მეორე წარმოდგენა. წარმოადგინეს „შეშლილია“ და მეხუთე მოქმედება „სამშობლოსი“. როგორც მოსალოდნელი იყო, საუცხოვოდ ითამაშეს მესხიშვილმა და ავალიშვილისამ და საზოგადოებაც დიდად ნასიამოვნები დარჩა. ხალხი ამ წარმოდგენას უფრო მეტი დაესწრო, ვიდრე პირველს.

⁂ იქიდგანვე: 16 მაისს, დილით, არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი კავკავიდგან ხარკოვს წავიდა საექიმოდ; თუ იქ ვერა უშველეს-რა, მესხიშვილი საზღვარ-გარედ აპირებს წასვლას.

თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

17 მაისი.

თავ. ვლადიმირ ვაჩნაძე თხოულობს წაიკითხონ მიხეილ მაჩაბლის პროტესტი. ზოგი-ერთნი თხოულობენ, რომ არა თუ წავიკითხოთ, მსჯელობაც ვიქონიოთო. თავმჯდომარე აცხადებს: პროტესტი ისე უმართებულოდ არის დაწერილი, რომ მისი წაკითხვა არ არის სასურველი, მაგრამ რადგან კრება თხოულობს იმის წაკითხვას, მომეცით ნება, კიდევ კარგად ჩავაკვირდე ამ პროტესტს და სხდომის შეწყვეტის შემდეგ მოგახსენებთ ჩემს აზრს.

ამის შემდეგ შეუდგებიან ბანკის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

დიმიტრი მუსხელიშვილი თხოულობს რამდენიმე კითხვის ახსნას. გამგეობა თავ. ავალიშვილის პირით პასუხს აძლევს.

სულ ცოტა კამათობის შემდეგ გამგეობისა და ზედ. მ. კომიტეტისაგან ხარჯთ-აღრიცხვა მტკიცდება. წარმოდგენილი ორ-გვარი ხარჯთ-აღრიცხვა: ერთი იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდი სრულიად მოისპო და მეორეც ნახევრად მაინც. პირველ შემთხვევაში ჯამაგირები შემცირებულია, მაგ. დირექტორს მიეცემა 600 მან. თუმცა დივიდენდიანათ მიიღებს არა ნაკლებ 4000 მან.

შემდეგ წაიკითხვენ თავ. ნიკოლოზ ორბელიანის ბანკის საქმეებზედ ვრცელს მოხსენებას, რომლის შინაარსს გავაცნობთ მკითხველებს, როდესაც ამ მოხსენებაზედ კამათობა დაიწყება.

სხდომა შესწყდა $^1/_2$ საათით.

მიხეილ მაჩაბელი პროტესტს აცხადებს, რომ მას 16 მაისს, როდესაც სჯიდნენ, თუ რამდენი მიეცეს სკოლას, ნება არ მისცეს ლაპარაკისა. თავმჯდომარე უკანონოდ მომექცაო, სწერს იგი, მით უმეტეს, რომ იმავე სხდომაზედ მღ. ასათიანს ნება მისცა სრულიად სხვა საგანზედ ბაასისა და ბანკის არა-წევრი ბ. ცხვედაძეც აალაპარაკაო. საზოგადოდ ბ. თავმჯდომარე კრების დახმარებით და მინიჭებულის უფლების გადაჭარბებით ძალას ატანს ზოგიერთს წევრებსაო. გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრნი ბოროტად ხმარობენ თვისს უფლებას და ისეთს წესს ამყარებენ, რომ რყვნიან საზოგადოებასაო. ტფილისის სამს გაზეთს „ივერიას“, „ნოვ. ობოზ.“ სა და „ტფილისის ფურცელს“ პირობა შეუკრავთ და ამ უწესოებას ხელს უწყობენ; არავითარს საშუალებას არ ზოგავენ, რომ საზოგადოებას გზა-კვალი აუბნიონ ბანკის საკითხების გამო. შეძრწუნებული საქმეთა ამგვარის მიმდინარეობით, ამბობს მ. მაჩაბელი, მე პროტესტს ვაცხადებ იმ გამრყვნელის წესის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს კრებაში დამყარდა, ბ-ნ თავმჯდომარის წინააღმდეგ, რომლის მოქმედება ხანდისხან მაძლევს ნებას ვიფიქრო, რომ თვით თავმჯდომარე ამ გამხრწნელ გარემოების გავლენის ქვეშ იმყოფებაო“.

წაკითხვის შემდეგ, რამოდენიმე წამით მძიმე სიჩუმე ჩამოვარდება კრებაში.

თავ. ვლადიმირ მიქელაძე. შეუნიშნავად, ჩვენის აზრის წარმოუთქმელად მაგ ქაღალდზედ, მისი ოქმში ჩამატება შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ პროტესტის ავტორი ცილს გვწამებს და შეურაცხყოფით გვეპყრობა!

თავ. ვლადიმირ ვაჩნაძე. შეიძლება მაგ საგანზედ ლაპარაკი.

თავ. ვლადიმირ მიქელაძე. შეიძლება და საჭიროც არის. ის ცილს სწამებს კრებას, გამგეობას, ცილს სწამებს და შეურაცხ-ჰყოფს ჩვენგან ამორჩეულს, დიდად პატივცემულს თავმჯდომარეს და არ უნდა ვილაპარაკოთ? ბატონებო, მიხ. მაჩაბელი გაიძახის, რომ სიტყვას არ მაძლევენო. მე გეკითხებით, ვინ ლაპარაკობდა მთელი 11-12 დღის განმავლობაში თუ არ მ. ვ. მაჩაბელი? (მართალია, მართალია!). განა შეურაცხყოფა არ არის კრებისა და თავმჯდომარისია ის პროტესტის სიტყვები, რომლითაც თავმჯდომარეს თითქმის სულელს, გაუგებარს ეძახიან, რადგან ამბობს 2×2=5 ჰგონიაო. ყოველივე ეს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ისრე მკაცრად, რომ თავისს დღეში არავის აეშალოს საღერღელი ჩვენთან ამ გვარად მოქმედებისა. ვიმეორებ, მიხეილ მაჩაბელმა შეურაცხ ჰყო კრება, თავმჯდომარე, მწერლობა და ამისათვის უნდა თვითონ განკიცხულ იყოს?! ყოველივე, რაც მაჩაბელმა ჩაურთო თვისს პროტესტში, აღსავსეა ცილისწამებით, ამისათვის მე შემომაქვს შემდეგი წინადადება: მოისმინა-რა კრებამ ურიგო, უწესო პროტესტი თავ. მ. ვ. მაჩაბლისა, სცნო იგი განსაკიცხველად და შეუდგა მორიგ კითხვების განხილვას! (ვაშა, ვაშა! საზოგადოება მეტად ღელდება).

თავ. ვლადიმირ ვაჩნაძე. არავითარი

---

*) იხ. „ივერია“ № 103.

შეურაცხება არ არის! (ჩუმად, ჩუმად!)

თავმჯდომარე. თქვენ თ. მაჩაბელს ეთანხმებით?

თავ. ვლადიმირ გაჩნაძე. ვეთანხმები! (ყვირილი და სტვენა)

თავ. ლევან ჯანდიერი. დროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას, რომ ზოგიერთნი წევრნი ამ უკანასკნელ რვა წელს შეუწყვეტლივ არღვევენ წეს რიგს. ჩვენ გავჩუმებულვართ, ჩვენ ვითმენთ, ისინი-კი უმართებულოდ იხსენიებენ კრებას, გვლანძღავენ ჩვენ და არ გვაცლიან, რომ საქმე გავაკეთოთ. ეს ბოროტება იზრდება, ჩვენ მოვალენი ვართ მას ბოლო მოვუღოთ. ჩემი რჩევაა: გამოვუწოდოთ მაჩაბლის თანამგრძნობთ და უკმაყოფილება გამოვუცხადოთ მათ. (ვაშა, ტაშის ცემაა).

თავ. ვლადიმირ გაჩნაძე. (კრება. არა გვსურს, ნუ ილაპარაკებთ) არ გინდათ მოისმინოთ? (არ გვინდა) ორის სიტყვის ნება მიბოძეთ.(არა გვსურს!) სულ ორის სიტყვისა. (არა გვსურს!) გარწმუნებთ თქვენ, რომ კრება შეურაცხყოფილი არ იქნება...

თავ. ილია გ. ჭავჭავაძე. (აღშფოთებული) აქ აღმოჩნდნენ მაჩაბლის დამცველები, დეე, მათ მის ბაასს პოეზია უწოდონ, ჩვენ ამ პოეზიას ანგარიში უნდა გავუწიოთ. მთლად მისი ბაასი შეურაცხყოფაა, შეურაცხყოფა, რომელსაც ეს რვა წელიწადია, რაც ვისმენთ,ის შეურაცხ-ჰყოფს მწერლობას, კრებას და მისს თავმჯდომარეს. დასაგმობია თუ არა მაჩაბლისა და მის თანამოაზრეთა ამისთანა საქციელი? ჩემის აზრით,დასაგმობია (მართალია, უეჭველად!). მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ მ. მაჩაბლის საქციელს თავის შესაფერს სახელს დავუძახებ, ამით კრებას შეურაცხვყოფ.

თავ. ვლ. დ. ვაჩნაძეს ჰსურს ილაპარაკოს, მაგრამ ბაასს აწყვეტინებენ ხმები: არა გვსურს, არა გვსურსო.

თავ. ილია გ. ჭავჭავაძე. მე ვთხოვ თავმჯდომარეს დახურულ კენჭის ყრით გამოირკვას, როგორ უყურებს კრება მიხეილ მაჩაბლის განცხადებას საჭიროა ერთხელ და სამარადისოდ აღნიშნულ იქნას, როგორ უნდა მოვიქცეთ ხოლმე ამისთანა შემთხვევებში.

უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი ამბობს, რომ დახურულ კენჭის ყრით-კი არა, საყოველთაოდ უნდა ეყაროს კენჭი იმ პირთ, რომელნიც თავისის საქციელის გამო ღირსნი არიან პირდაპირის ზიზღისა.

თავ. ლევან ჯანდიერი. დავადექით რა იმ აზრს, რომ გასაკიცხია მ. მაჩაბლის საქციელი, დავუბრუნდეთ ახლა თვით საქმეებს (ცოტა იყო ნათქვამი!).

დიმიტრი მუსხელიშვილი. აქ ამ საქმის განხილვა შეუძლებელია, მით უმეტეს რომ ლაპარაკის ნებას არ გვაძლევენ, (ხმები: კმარა, კმარა!).

უგან. თავ. პ. გრუზინსკი. ბ-ნო მუსხელიშვილო, თქვენ თვით ჩააბით თქვენი თავი ამ საქმეში.

დიმიტრი მუსხელიშვილი. რაო? რაო? იქნება თქვენ... (ხმაურობაა: კმარა, კმარა!

თავ. ვლადიმირ გაჩნაძე. მე აღარ მინდა ვირიცხებოდე ბანკის წევრად, მსურს საწევრო ფული უკანვე დამიბრუნდეს. (დიდის კმაყოფილებით, მიბრძანდით!).

თავმჯდომარე აცხადებს, მოისმინონ უწესო მოხსენება მ. მაჩაბლისა, გამოსარჩლება თავ. ვლადიმირ ვაჩნაძისა და ბ. მუსხელიშვილისა. და მერე შეუდგნენ სხვა საქმეებს.

დიმიტრი მუსხელიშვილი. ეს კითხვა კენჭის ყრით უნდა გარდასწყდეს, ვნახოთ, ვის მხარეზედ იქნება მომეტებული ხმა. (იყაროს კენჭი!).

თავმჯდომარე. ვინც თანაუგრძნობთ მიხეილ მაჩაბელს, გთხოვთ ფეხზედ ადგეთ. (არავინ არა დგება)!

თავ. ივანე მაჩაბელი. მართალია, მ. მაჩაბლის საქციელი არ არის მოსაწონი, მაგრამ ამისთანა მოქცევა კრების წევრისადმი, როგორსაც ეხლა მე ვხედავ, არ უნდა იყოს, (ხმაურობაა) მით უმეტეს, რომ ეს შეიძლება აიხსნას მისის ძარღვების სისუსტით. ამიტომ მე ვითხოვ პატივით მოვექცეთ კრების წევრს, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და დრო შესწირა საზოგადოებას (ტაშის ცემაა).

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. (აღშფოთებულია) კითხვის მაგვარად დაყენება არ შეესაბამება კრების ღირსებას. ეს თანაბარია წევრების დაშინებისა. მე არა ვარ მაჩაბლის თანახმა, მაგრამ ვაცხადებ, რომ მე მასთან კეთილი განწყობილება მაქვს. მე იძულებული ვიყავ მეთქვა ეს. არა, ბატონებო, თქვენ მაგითი ვერავის ვერ შეაშინებთ! ეს ხუმრობის თანაბარია.

თავ. ილია ჭავჭავაძე. არავის არა ჰქონია სახეში ვისიმე შეშინება. როგორც სთქვეს, მაჩაბლის საქციელი შედეგია მისის ძარღვების სისუსტისა, ეს არავის არა გვხდის ვალდებულად, რომ ჩვენი ძარღვებიც დავასუსტოთ. მე ვამბობ, რომ იმ უწესრიგობას, რომელიც ფეხს იკიდებს, უნდა ბოლო მოვუღოთ. კრების მოთმინება უზომოა: მაჩაბლის ყოველი სიტყვა მოსმენილია და დაწერილი. ვიმეორებ, არავის არა ჰქონია აზრად ვისიმე შეშინება. დეე, კრებამ გამოსთქვას თავისი აზრი მიხეილ მაჩაბლის შესახებ დახურულ კენჭის ყრით და მაშინ დავინახავთ, უმეტესობა რომლის მხარეზედ იქნება.

კითხულობენ: „საზოგადო კრებამ მოისმინა-რა უწეს-რიგო და ცილისწამებით სავსე განცხადება მიხეილ ვ. მაჩაბლისა დაადგინა გამოუცხადოს ბ. მაჩაბელს თავისი უკმაყოფილება, განკიცხვა და შეუდგნენ ისევ საქმეების განხილვას“.

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. ჩემის მხრივ, მე სრულებით არა ვსაჭიროებ, რომ კენჭით გამოვსთქვა ჩემი აზრი. ეს ჩემთვის ისედაც ნათელია. ამიტომ საყოველთაოდ ვიტყვი, რომ თანახმა ვარ ზემორე მოხსენებულ კრების აზრისა. (ხმის უმეტესობა თავ. ანდრონიკაშვილის თანახმაა).

დიმიტრი მუსხელიშვილი. კენჭის ყრა საჭირო არ არის.

ყუთებს სდგამენ, მაგრამ რადგანაც დაგვიანდა, ამიტომ თავმჯდომარე სთხოვს კითხვა ფეხზედ ადგომით გადასწყვიტონ. თავმჯდომარის წინადადება შეწყნარებულ იქნა ყველასაგან გარდა ერთისა.

კრება დაიშალა მეორე დღემდის.

---

18 მაისი.

სხდომა დაიწყო $11^1/_2$ საათზედ.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. რა დაადგინა კრებამ გუშინდელის სამწუხარო შემთხვევის გამო?

თავმჯდომარე. თქვენ ამას გაიგებთ, როდესაც გუშინდელის სხდომის პროტოკოლს წაიკითხვენ... ახლა შევუდგეთ თავ. ნიკოლოზ ორბელიანის მოხსენების განხილვას... ბ-ნო მდივანო, წაიკითხეთ მოხსენების პირველი მუხლი.

წაკითხულ იქმნა მოხსენების პირველი მუხლი, რომლით თავ. ნ. ორბელიანს წინადადება შემოაქვს იმის შესახებ, რომ დაკლებულ იქმნას სარგებელი, რომელსაც ბანკი იღებს ტფილისის მსესხებელთაგან; $1^0/_0$-ის მაგიერ ბანკმა უნდა აიღოს $^3/_4{}^0/_0$ ბანკის მმართველობაზედ.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. საკვირველი საქმე ემართება ხოლმე ჩვენს წინადადება-პროექტებს! გამგეობა ყოველთვის უარ-ჰყოფს მათ და გვეუბნება, ეს ჩვენი საქმეაო, რაკი მოგვანდეთო... მე ვხედავ, რომ გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის აზრი ჩემის წინადადების შესახებ ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან: გამგეობა ამბობს—ეს ორბელიანის საქმე არ არისო, ზედამხედველი კომიტეტი-კი ჩემზედ მეტსაც თხოულობს. მე ტფილისის მსესხებელთ ვაკლებ სარგებელს, ის-კი ყველა ქალაქებისას. დროა გაიაფდეს კრედიტი, რაც უფრო მალე დავუკლებთ $^0/_0$, მით უფრო ადვილად გავუწევთ სხვა ბანკებს კონკურენციას.

ბ. ამირაღოვი. სრულიად ვეთანხმები თავ. ორბელიანის წინადადებას. სწორედ დროა გავუადვილოთ მსესხებელთ მძიმე ტვირთი. ან $^1/_4{}^0/_0$ დავუკლოთ, რომელსაც ბანკის მმართველობაზედ იღებენ, ან დავტოვოთ უწინდელი $1^0/_0$, მაგრამ მას თავდაპირველ სესხიდგან ნუ-კი აიღებენ, არამედ დარჩენილიდგან.

დიმიტრი მუსხელიშვილი. ჩვენი ბანკი საშიშარს მდგომარეობაში იქნება, თუ $^0/_0$-ს არ მოვუკლებთ. კონკურენციას გაგვიწევს დონის ბანკი,რომელსაც ადვილათ შეუძლია $^1/_2{}^0/_0$ აიღოს ხოლმე მსესხებელთაგან. ამიტომ გირჩევთ დაუკლოთ $^1/_2{}^0/_0$ და არა $^1/_4$. ბანკს ამითი არავითარი ზარალი არ მოეცემა, პირიქით შემდეგ მოგება იმატებს. მაგალითად 1891 წელს, როდესაც ჩვენ $^1/_2{}^0/_0$ დავუკელით, პირველ წელიწადის მოგებამ თუმცა ცოტათი იკლო, სამაგიეროდ შემდეგს წლებში იმატა. კრედიტის გაიაფებამ ბანკის საქმეები გააუმჯობესა. გარდა ამისა ვეთანხმები ბ. ამირაღოვს, რომ $^0/_0$-ს დარჩენილ ვალიდგან უნდა იღებდეს ბანკი და არა თავდაპირველ ვალიდგან. ტფილისის საკრედიტო საზოგადოებამაც-კი გვაჯობა. რომ თავის დროზედ დაგვეკლო $^0/_0$, ჩვენი მსესხებელნი სხვა ბანკში არ გადააგირავებდნენ თავისს მამულებს. ამ მოსაზრებათა ძალით საჭიროა გაიაფდეს კრედიტი და ჩქარა, რადგანაც დონის ბანკის კონკურენცია საშიშია; მე ნამდვილად ვიცი, რომ ეს ბანკი სააგენტოს აარსებს ჩვენში!

მღვ. ასათიანი. ჩვენის ბანკის ხასიათია—საზოგადო სარგებლობა, ამიტომ ჩვენი ბანკი უნდა ცდილობდეს: მოგებაც ჰქონდეს და არც სხვა გაალარიბოს. მე მახსოვს, რომ ბანკმა სოფლელთ დაუკლო სარგებელი, ესევე უნდა მოხდეს ქალაქელთა შესახებ. კარგად ვქმენით, რომ სოფლელთ შემწეობა აღმოვუჩინეთ, რადგანაც სოფელს ბევრი გაჭირვება ადგია—ხან კალია აწუხებს, ხან სეტყვა და სხვა. ქალაქელთ თუმცა კალია არ აწუხებს, მაგრამ ყველამ ვიცით, რა ძნელია ქალაქის მამულის მოვლა. განა მდგმური იგივე კალია არ არის? მოთხოვნილება ბევრი აწევს, შემოსავალი-კი ცოტა აქვთ. გავუადვილოთ ტვირთი ქალაქელთაც, თორემ მსესხებელი აღარ მოგვეკარება! (ვაშა! ვაშა!).

ბ. გიგო ყარანგოზიშვილი. გამგეობაც, ზედამხედველი კომიტეტიც, ორატორებიც—ყველა თანახმაა $^0/_0$ დაკლებისა. მაშ, რაღ ვაგრძელებთ სიტყვას, პირდაპირ გარდაწყვეტილება მოვახდინოთ!

თავმჯდომარე. რომელ ვალიდგან დავუკლოთ $^0/_0$?

ბ. გიგო ყარანგოზიშვილი. მაშინ, როდესაც თვით გამგეობა შესაძლებელად სცნობს.

თავ. ივანე მაჩაბელი. ვეთანხმები ბ. მუსხელიშვილს, რომ $^1/_2{}^0/_0$ უნდა დაეკლოს. ამით ბანკი არას იზარალებს. გამოანგარიშებით 7,000 მანეთი უნდა დააკლდეს პირველს წელიწადს, მაგრამ რადგანაც ბანკი იზრდება, დანაკლისი 3,000 მანეთს არ აღემატება. შემდეგს წლებში-კი მოგება იმატებს, თუ ბანკში წესი იქმნა. ნუღარ ვაგვიანებთ, შევუმსუბუქოთ ტვირთი მსესხებელთაც. არ ვეთანხმები ბ. ამირაღოვს და ბ. მუსხელიშვილს, რომ დარჩენილ ვალიდგან ვიღოთ სარგებელი. საჭიროა დაუყოვნებლივ გავაიაფოთ კრედიტი! (ვაშა, ვაშა!)

თავ. ალ. ჩოლოყაშვილი. საინტერესოა გავიგოთ ამ საყურადღებო საგნის გამო გამგეობის მეორე წევრის აზრი.

თავ. ავალიშვილი. მე არასოდეს არ ვყოფილვარ კრედიტის გაიაფების წინააღმდეგი. ეს სასურველია, მაგრამ მარტო სურვილით საქმე არ კეთდება, სახეში უნდა ვიქონიოთ დრო და გარემოება. მსესხებელთ უთუოდ უნდა შევუმსუბუქოთ ტვირთი, მაგრამ სხვა გზით და საშუალებით. ჩემის ფიქრით ჯერ-ჯერობით უნდა მოვახდინოთ $6^0/_0$ ქაღალდების კონვერსია. ერთი $^0/_0$ დააკლდება—ეს სამართლიანიც არის და სასარგებლოც. სამართალი მოითხოვს ერთსა და იმავე მდგომარეობაში ჩავაყენოთ ყველა მსესხებელი. კრედიტის გაიაფება კონვერსიით უნდა მოხდეს, შემდეგ შეიძლება მმართველობაზედაც ნაკლები სარგებელი ავიღოთ ხოლმე.

დ. ი. მუსხელიშვილი. მე დამავიწყდა მომეხსენებინა, რომ ტფილისის საკრედიტო საზოგადოებამ, თუმცა მან დიდი კრიზისი გამოიარა, მაინც გაასამკეცა სესხის რაოდენობა. რაც შეეხება კონვერსიას, ამ საჭიროების გამო ჩვენ 1891 წლიდგან ვიძახით, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. კონვერსია უნდა მოხდეს, მაგრამ არას დაუშლის მმართველობაზედ $^0/_0$ დაკლებაც!

ბ. ამირაღოვი. ვეთანხმები მუსხელიშვილს. გთხოვთ კენჭი უყაროთ სამს საგანს: 1) ბანკმა დარჩენილ ვალიდგან იღოს $1^0/_0$, 2) დაეკლოს $^1/_2{}^0/_0$ ან 3) დაეკლოს $^1/_4{}^0/_0$. ვადა 1896 წლის პირველ იანვრიდგან იყოს.

თავ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილი. თუ გამგეობა აპირებს კონვერსიის მოხდენას, $^1/_2{}^0/_0$ დაკლება ჯერ არ არის საჭირო, რადგანაც ბანკს დააკლდება 80 ათასი მანეთი (50 ათასი კონვერსიის მოხდენით და 30 ათასი $^0/_0$ დაკლებით). რაც შეეხება $^0/_0$ აღებასა დარჩენილ ვალიდგან—ამას ვერ ვიზამთ წესდების ძალით. ტფილისის საკრედიტო საზოგადოება ვერ გაუწევს ჩვენს ბანკს საშიშს კონკურენციას, რადგანაც იქ იღებენ $7^3/_4{}^0/_0$, ჩვენ-კი $7^0/_0$ ვახდევინებთ.

თავ. ავალიშვილი აცხადებს, რომ შესაძლებელია კონვერსია მალე მოხდესო.

თავ. ივანე მაჩაბელი. თავ. ჩოლოყაშვილი ჰხედავს ჩვენის ბანკის უპირატესობას იმაში, რომ ჩვენ ვიღებთ $7^0/_0$, ტფილისის საკრედიტო საზოგადოება-კი $7^3/_4{}^0/_0$, მაგრამ მას ავიწყდება, რომ იქ ვადა არის მოკლე.. შემდეგ, თუ დავაკლებთ $^1/_2{}^0/_0$, განა ამით შეღავათს არ აღმოვუჩენთ $6^0/_0$ ქაღალდების პატრონთ? რასაკვირველია, შეღავათს აღმოვუჩენთ როგორც მათ, ისე სხვებსაც. კონვერსია წინადაც მოვახდინეთ და ძვირად არ დაგვიჯდა, ასე რომ კონვერსიაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ მოვახდინოთ ხოლმე, მაგრამ ეს წელს არ შეიძლება და $^0/_0$ დავუკლოთ, რაც ჩვენს კონკურენტებს კარგა ხანია შემოუღიათ.

ბ. კობიაშვილი. ვთხოულობ, რომ თავ. მაჩაბლის განმარტება უთუოდ იქმნეს პროტოკოლში ჩაწერილი.

დიმიტრი ი. მუსხელიშვილი. ვიმეორებ, რომ კონვერსიაც შეიძლება მოვახდინოთ და $^1/_2{}^0/_0$-იც დავაკლოთ.

თავ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილი იმეორებს, რომ წესდების ძალით არ შეიძლება დარჩენილ ვალიდგან $^0/_0$-ის აღება.

მისისავე წინადადებით წაკითხულ იქმნა ზედამხედველ კომიტეტის დადგენილება $^0/_0$-ის დაკლების შესახებ.

თავ. თარხნიშვილი. გაკვირვებული ვარ, რომ კომიტეტს ეს დადგენილება ახლა მოუხდენია, რადგანაც ეს უკვე კარგა ხანია კრებამ გარდაწყვიტა.

ბ. მუსხელიშვილი. მაგას თავი დავანებოთ და ახლა უთუოდ დავავალოთ $^0/_0$ დაკლება.

თავ. ჩოლოყაშვილი. რადგანაც 1890 წლის დადგენილება გვაქვს $^0/_0$ დაკლების შესახებ, დავავალოთ გამგეობამ სისრულეში მოიყვანოს ეს გარდაწყვეტილება პირველ ივლისიდგან.

თავმჯდომარე. გამგეობის თავმჯდომარე ვერ დაესწრო თავიდგან დღევანდელს სხდომას და ახლა თხოულობს სიტყვის ნებას. როგორ ინებებთ?

საზოგადოება: ვთხოვთ ვთხოვთ!

თავ. ილია ჭავჭავაძე. სარგებლის დაკლების შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს წინანდელის კრების დადგენილება, მაგრამ კრებას ვადა არ დაუნიშნავს, როდის უნდა მოგვეხდინა ეს დაკლება. ვადის დანიშვნა კრებამ მიანდო გამგეობას და ზედამხედველს კომიტეტს. ამ ჟამად $^0/_0$ დაკლებას ორი გარემოება უშლის ხელს: 1) უნდა მოვახდინოთ კონვერსია $6^0/_0$ ქაღალდებისა და 2) უნდა დავეხმაროთ თავად-აზნაურობას ქარვასლის შენებაში; ამიტომ გირჩევთ უწინდელი დადგენილება ძალაში დარჩეს. გაისად გამოირკვევა ყოველივე და მაშინ უტყუარად შეგვიძლია ვთქვათ, როდის შეიძლება $^0/_0$-ის დაკლება.

თავ. მაჩაბელი. კონვერსია არას დაუშლის $^0/_0$ დაკლებას, რადგანაც ხარჯი ცოტა მოგვივა. რაც შეეხება ქარვასლას, თავად-აზნაურობა თვით გამოსძებნის საშუალებას, მაინც-დამაინც ამის გამო ახლა ბაასი ადრეა.

თავმჯდომარე. საგანი გამოირკვა. მხოლოდ ვადის დანიშვნის შესახებ შევთანხმდეთ.

თავ. ილია ჭავჭავაძე. სარგებლის

დაკლება დავიწყოთ უთუოდ პირველ ივლისიდგან 1896 წლისა, ხოლო თუ მოხერხდა პირველ იანვრიდგან.

თავ. თარხნიშვილი. ვადის დანიშვნა საშიშია! ვინ იცის, იქნება დაკლების მაგიერ მომატება დაგვჭირდეს.

თავ. ილია ჭავჭავაძე. საშიში არა არის-რა, მაგრამ სჯობს პირველი იანვარი დავნიშნოთ.

ხმის უმრავლესობით კრებამ დაადგინა, რომ 1896 წლიდგან ქალაქების მსესხებელთ ბანკის მმართველობაზედ ერთის პროცენტის მაგიერ გარდაჰხდეს $^{3}/_{4}{}^{0}/_{0}$.

შემდეგ წაკითხულ იქმნა წინანდელ კრების პროტოკოლი.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. პროტოკოლში შეცდომით არის ჩაწერილი ჩემი სიტყვები. მე ვთქვი, რომ თავ. ილია ჭავჭავაძე ატანს ძალას საზოგადო კრებას და არა თავმჯდომარე. გუშინდელ შემთხვევის გამოკი შემდეგს მოგახსენებთ: მიხეილ მაჩაბლის პროტესტში საზოგადო კრება არ არის შეურაცხყოფილი. საზოგადო კრებას ვერ ავინ ვერ შეეხება და მისი შეურაცხყოფა შეუძლებელია; ამიტომ მას ასე მკაცრად არ უნდა დაესაჯა თავისი ერთი წევრთაგანი. მ. ვ. მაჩაბელმა სთქვა ის, რასაც ბევრი კარგა ხანია გრძნობს თავ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რომლის მოღვაწეობა შფოთსა და განხეთქილებას ნერგავს ჩვენს შორის. მაჩაბლის პროტესტში მხოლოდ ერთი ადგილია საძრახისი, სადაც ის კრების თავმჯდომარეს ეხება, ამიტომ კრებამ მაჩაბელს საყვედური უნდა გამოუცხადოს. თავ. ვლ. მიქელაძეს არა აქვს ნება ჩვენ აქ დარიგება გვიკითხოს ხოლმე. ის ჩვენთვის უცხოა, ჩვენს თავად-აზნაურობასთან მას საერთო არა აქვს-რა! თავ. ჯანდიერის გუშინდელი სიტყვაც უადგილო იყო, რადგანაც ის ურჩევდა საზოგადოებას წევრების განდევნასა და გამორიცხვას!

თავ. ივანე მაჩაბელი. ვეთანხმები სრულიად თავ. ორბელიანის აზრს და უარსა--ვყოფ ამ პროტოკოლს!

თავ. ვლ. მიქელაძის სიტყვა იქამდის საყურადღებოა, რომ ვბეჭდავთ ქვევით ცალკე წერილად.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. მე არ მითქვამს, რომ თავ. მიქელაძეს არა აქვს ნება ლაპარაკისა, მე ვთქვი მხოლოდ, რომ მისი დარიგება საჭირო არ იყო.

თავ. ჯანდიერი. ჩემის ფიქრით პროტოკოლი ვერ არის კარგად შედგენილი. ბ. მაჩაბლის მოხსენებაში შეურაცხყოფილია გამგეობა, ზედამხედველი კომიტეტი, საზოგადო კრება და პრესაც.ბ. მაჩაბელი ყველას ედავება, მაშ ვიღას და რას ემსახურება?! ამბობენ—მიმართულებაო, მაგრამ ნუ-თუ ლანძღვა-გინება მიმართულებაა?! აგერ რამდენიმე წელიწადია, ყურს ვუგდებ და ვუკვირდები მაჩაბელთ და მათ მიმდევართა ლაპარაკსა და სჯას, მაგრამ ვერა გამიგია-რა. შეიძლება მე ეს მოხუცებულებით მომდის, მაგრამ სხვებსაც რომ არა ესმით-რა?! ვიმეორებ, რომ საფუძვლიანს მსჯელობას ყველა სიამოვნებით მოისმენს, ხოლო ლანძღვასა და შეურაცხყოფას საზოგადოება ველარ მოითმენს!

დიმიტრი მესხელიშვილი. არც ჩემი სიტყვებია კარგად ჩაწერილი პროტოკოლში. მე ვთქვი გუშინ, რომ საზოგადო კრება არ არის შეურაცხყოფილი, ხოლო კერძოდ თუ ვინმე სთვლის თავისს თავს შეურაცხყოფილად, შეუძლიან სასამართლოს მიჰმართოს.

სხდომა გადიდვა მეორე დღის დილის 10 საათამდე.

◆

თავ. ვლადიმირ მიქელაძის სიტყვა.

თუმცა კანონების მცოდნეთ სთვლის თავისს თავს თავ. ნ. ორბელიანი, მაგრამ მისმა სიტყვამ დამარწმუნა, რომ ამ საგანში სუსტი ბრძანებულა. თავ. ორბელიანმა გაჯავრებით შესძახა კრებას: თავ. ვლადიმირ მიქელაძე ბრწყინვალე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებას ამ ათის დღის განმავლობაში ჭკუას ასწავლის და დარიგებას გვაძლევსო. ის არის სხვა ქვეყნიდგან მოსული და ჩვენს თავად-აზნაურობასთან არავითარი ზნეობითი კავშირი არ მიუძღვისო. თავ. მიქელაძე ისე გულ-წრფელად ვერ იზრუნებს თქვენთვის, როგორც ღვიძლი შვილი ჩვენის გუბერნიისაო. აი, ეს ბრძანა ნიკოლოზ ორბელიანმა, ბატონებო! ეტყობა ნიკოლოზ ორბელიანს გზა დაჰბნევია. იმას ჰგონებია, რომ დღეს აქ ჩვენ გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას შევადგენთ. თავადო, რატომ არ იცით, რომ ეს ჩვენი კრება არის ბანკის კრება, რომელსაც თავისი განსაზღვრული გზა და საგანი აქვს; იმას არავითარი კავშირი არა აქვს კანონის ძალით გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებასთან. მე ვარ წევრი ამ კრებისა, მე მაქვს უფლება კანონისაგან მონიჭებული და ამ უფლებით ვსარგებლობ და მუდამ ვისარგებლებ: ვერვინ გამიბედავს, ამ ჩემს უფლებას შეეხოს. ძლიერ ვსწუხვარ და მიკვირს, რომ ეს უბრალო საგანი თავ. ორბელიანს ვერ შეუგნია და ჯაფა მომაყენა მისთვის ამეხსნა.

თავ. ორბელიანი სხვა ქვეყნიდგან გადმოსულს მიწოდებს. ვსწუხვარ, რომ ეგრეთი ვიწრო აზრი და წარმოდგენა ჰქონია ორბელიანს ჩვენს ქვეყანაზედ. ჩემი ქვეყანაა იქაც, სადაც დავბადებულვარ და იქაც, სადაც ეხლა ვმოქმედებ, მთელი საქართველო ჩემი ქვეყანაა; ყველგან მაქვს ალაგი და ყველგან გაჩნდება, როცა ჩემი წმიდა მოვალეობა მოითხოვს: ჩემი მოვალეობაა ჩემის ქვეყნის სამსახური და სადაც-კი ქართული ენა ისმის, ყველგან ჩემი ქვეყანაა, ყველგან მოვალე ვარ ჩემი აზრი ვთქვა, ჩემი ძალა, ღონე და ცოდნა მსხვერპლად მოვუტანო. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ვლადიმირ მიქელაძე ჭკუას ასწავლისო. მე ჭკუას არავის არ ვასწავლი, და ჩემს აზრს-კი ყველას ვეტყვი და საბუთებსაც თან მივაწოდებ: უსაბუთოდ ლაპარაკს, თავადო ნიკოლოზ ვახტანგის ძევ, მე არ გახლავარ ნაჩვევი. მე იგეთივე ბრწყინვალე და დიდებულს თავად-აზნაურობას ვეკუთვნი, როგორც თქვენ, თუ ამ საერთო ჩვენის ქვეყნის წოდების გაყოფა გნებავს. მაგრამ იმერეთისა და ქართლ-კახეთის შუა გაყრის საზღვარს არა ვდებ: იქაც ჩემი ქვეყანაა და აქაც და ყველგან ერთნაირის ძალით, ღონით, სურვილითა და მეცადინეობით ვიმოქმედებ, თუ ღმერთმა შემაძლებინა. ეს არის ჩემი საღმრთო მოვალეობა. ლიტონის სიტყვით და რახარუხით საზოგადო საქმეში ფონს ვერ გაბრძანდებით. აქ უნდა ცოდნა, მეცნიერება და წრფელი სურვილი ქვეყნისადმი სამსახურისა. ვისაც ჩვენის ქვეყნის მოთხოვნილება არა აქვს შესწავლილი, ვინც ცოდნით და მეცნიერებით შეიარაღებული არ არის, ის ნაყოფს ვერ მოიტანს. ეს ჭეშმარიტება თავისის მაგალითისაგან უნდა ჰქონდეს შეგნებული თავ. ორბელიანს. რაიცა შეეხება იმას, ვის აქვს მეტი უფლება საზოგადო ასპარეზზედ გამოსვლისა და მოქმედებისა თ. ორბელიანს თუ მე, ამაზედ დავას ნუ გავწევთ—აი, აქ ამ კრებას დავეკითხოთ!! (ტაშის ცემაა: ვაშა! ვაშა!)

◆

კორესპონდენცია.

სოფ. ვარდის უბანი, (ზემო-ქართლი): როცა-კი ჩაგვივარდება ხელში გადაყრუებულ მცხოვრებთ „ივერია“ ანუ „კვალი“, ხშირად ამოვიკითხავთ ხოლმე,—ვითომც განათლებულთა, განვითარებულთა და კაცობრიობის აღმადგენელთა დასები არიან: პირველი, მეორე, მესამე და ჩქარა მეოთხე დასიც უნდა გაჩნდეს.

თუმცა ტფილისიდგან ვცხოვრებთ სამის საათის სასიარულო მანძილზედ ორთქლ-მავალით და სადგური რკინის გზისა არის ჩვენიდგან ოთხის ვერსი სიშორეზედ, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, გადაყრუებულად უნდა ჩავთვალოთ ჩვენი თავი. ზემო-ქართლში საღოლაშნიდგან დაწყებული კორტოხამდე, სადაც მცხოვრებელთა რიცხვი აღემატება სამი ათასს კომლს, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ხუთს მდ. ფრონის ხეობებში არა გვაქვს არც ერთი სკოლა. დიაღ, ბატონებო, არც ერთი-მეთქი! ხუმრობა-კი არ გეგონოთ, ნამდვილს მოგახსენებთ, არც ერთი. ბეჯითად შემიძლიან მოგახსენოთ, რომ ქართლი ღონით მცხოვრებლებისა ძალიან აჯობებს კახეთს, როგორც მატერიალურად, აგრეთვე ბაზრითაც. მამულის სიფართოვეზედ ხომ ლაპარაკიც არ უნდა. წარმოიდგინეთ, რა განსხვავებაა აქ და კახეთში. კახეთში თითქმის ყველა მოზრდილს სოფელში არის მშვენიერი შენობა ქვითკირისა სკოლისათვის. აქვს ფართო მოედანი ეზოდ და ბაღებად, შემოზღუდული გალავნებით. ხსენებულს სკოლებში იზრდებიან ორმოციდგან ას-ოცამდე ყმაწვილი მამათა დ დედათა სქესისა. ჩვენ-კი, ჩვენ არა გვაქვს-რა დღემდის სასიხარულო.

1893 წ. გავრცელდა ხმა ზემო-ქართლში, უნდა რამდენიმე სოფლის საზოგადოება ერთად შეერთდეს და მთავრობა ნიშნავს მამასახლისებად „ინტელიგენტნი ლიჩნოსტებსაო“. რა-კი ამ სიტყვების ახსნა ყველას ეძნელებოდა, ძალიან დიდ მოლოდინში ვიყავით და ვიძახდით: „ნეტავი როდის მოვა ეს ნეტარი დრო, იქნება მაშინ გვეშველოს რამეო“. შეისმინა უფალმა ჩვენი ვედრება და ვეღირსენით კიდეც „ინტელიგენტნი მამასახლისებს“. მაგრამ, როგორც ნათქვამია: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო“, ასე მოგვივიდა ჩვენც. აი საბუთებიც. მართალია ბევრმა მამასახლისმა წერაც არ იცის ჩვენში ქართული, არამც თუ რუსული და მრავალი მასალა მაქვს შეგროვილი ამათის მოქმედებისა, მაგრამ მეშინიან, მკითხველმა მოთმინება არ დაჰკარგოს და ამიტომ მოგითხრობთ ერთის მამასახლისის ამბავს. ჩვენს საზოგადოებას შეადგენს ათასი კომლი კაცი, ეს რიცხვი არის 1886 წლის კამერალიის აღწერით. მას შემდეგ ბევრი კომლი გაიყარა; ამას გარდა აქ სცხოვრებენ იმერეთიდგან ჩამოსულნი, რომელთა რიცხვი უნდა იყოს ხუთას კომლამდე. ამოდენა ხალხს უვლის მამასახლისი მაჭარაშვილი. გლეხები იხდიან ამის სასარგებლოდ კომლზედ რვა აბაზ-უზალთუნს წელიწადში. რომ ვიანგარიშოთ ერთად—შესდგება ორას ორმოც დაათი თუმანი. კარგი ჯამაგირია მე და ჩემმა ღმერთმა! მე მგონი, კურსს-შესრულებულმა სტუდენტებმა რომ წაიკითხონ ეს კორესპონდენცია, საღერღელი აეშალოთ და ყველამ მამასახლისობა მოინდომოს. მე ნამდვილად ვიცი, რომ ამის ნახევარსაც ვერ შოულობენ ტფილისში სამსახურით.

მაგრამ ავცდი საგანს. მოგახსენებთ ახლა, ბატონებო, რითი გამოიჩინა ხსენებულმა მამასახლისმა „ინტელიგენტნი ლიჩნოსტობა“? აი, რითი: გზები და ბოგირები საძაგლებია, სოფლები პატივითა და ლაფით არის სავსე, კისრები და ყბები ბევრს აღარ უვარგა ამისის ცემა-ტყეპით, განვითარებული საშინელ ჯარიმების გადახდევინებაშია.

დიდ ფლაველებს მოუვიდათ ჩხუბი პატარა ფლაველებთან. (ორი სოფელია ჩვენს საზოგადოებაში), დიდ ფლაველებმა სცემეს ღონივრად პატარა ფლაველებს. მიჰმართეს მამასახლისს. მან გარდაახდევინა ცხრამეტი მანეთი და ჩაიდო ჯიბეში. ეს ჩხუბიც ამით გათავდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა კომლს დაურიგდა პატარა რვეულები, რომლებშიაც უნდა ჩაიწეროს მამასახლისის ხელით, რაც ფულად ჰხდება ყველა კომლს. მე გადავათვალიერე ეს რვეულები. აღმოჩნდა აი რა. კომლი, რომელიც იხდის თხუთმეტს მანეთს, უწერია ოთხი მანეთი და ერთი აბაზი, რომელიც იხდის ნაკლებს—იმასაც ამდენივე უწერია. ამ რვეულში არა სწერია არც მამასახლისის ჯამაგირი და არც ის სამ-სამი აბაზი, რომელიც ამ წარსულს მარტში შეაგროვეს თითო კომლიდგან. ბორჯომის თავზედ ყარაულები სდგანან და ეს იმათთვის გროვდებაო. ბორჯომის თავზედ რომ დარაჯები იდგეს, ფლაველებს რა?! მერე რაც არის ჩაწერილი, აი როგორ. არა აქვს დაწერილი, რა წელიწადში მიეცათ ეს რვეულები, რომელის წლის ხარჯი გარდაიხადა გლეხმა და მამასახლისის ხელიც არ აწერია. აი შედეგი განათლებულის მამასახლისისა...

ყველა, რაც მოგახსენეთ, ნამდვილია და თუ დამჭირდება, საბუთებსაც წარმოვადგენ. ჯარიმები, რომელიც გლეხკაცს ხდება ცემა-ტყეპაში და სხვა უხეირო ქცევისათვის, სად მიდის, ვის სასარგებლოდ უნდა იკრიბებოდეს?!.

სოსიკო თარხნიშვილი.

◆

დილა.

დილა არის. ცა ლაჟვარდი
მზისა სხივით იფერება,
და ქურდულად მიმალულა
თვით მთვარე და ვარსკვლავთ კრება.
მობიბინე ვარდ-ყვავილი
გულ-მკერდს ოშლის იფურჩნება,
გაიღვიძა მთა და ბარმაც,
სამეჯლისოდ ემზადება.
ველს გაჰკივის იადონი,
ია ჰკრთება, მორცხვობს, ნაზობს,
მას ნამს აფრქვევს, კლდის ჩანჩქარი,
მოცელქობს და მოკისკასობს.
მიჯნურივით გაუღიმა
ქვეყანამ ცას, ცამ ქვეყანას
და ორივე მწყობრად ჰგალობს
საამქვეყნო გამოცანას:
„დღით მზე ჰნათობს, ღამით მთვარე,
დღე ღამეს სდევს, ღამე დღესო,
თუ წყვდიადი არ გინახავს,
ფასს ვერ დასდებ სინათლესო.
„ვინც წარსულს დროს სტირს და მოსთქვამს,
ის აწმყოსაც ინანებსო,
მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს,
მოვლა უნდა სალს და მრთელსო.
„მშვიდობის გზა მთვარე-ვარსკვლავთ,
ქებათ-ქება—მნათობს მზესო;
ვაშა, ვაშა, ბუნების წესს,
რომ ნათელი მოსდევს ბნელსო“!..

განდეგილი.

18 მაისი.

◆

პასუხი.

ამას წინად ივერიაში იყო მოხსენებული, რომ სოფელ ბოდბისხევის მასწავლებლის და ნასწავლის მამასახლისის მეცადინეობა არაფერში არ დაეტყო სოფლის განკარგებასაო. ეს მტკნარი სიცრუეა. ეს ათი წელიწადი იქნება, რაც მე ამ სოფელში მასწავლებლად ვარ და, როგორც ვხედავ, წერა-კითხვის გავრცელება სოფელში წინ მიდის. თუ ნაყოფი არ მოეტანოს სკოლას, მაშ რაც იციან, სად შეიძინეს! სადაც გაიხედავს კაცი, ახალ-გაზდა ყმაწვილები წიგნსა კითხულობენ და სწერენ; ეს საიდგან? მანამ სკოლა დაარსდებოდა, რატომ არ იყო ესე გავრცელებული სოფლად წერა-კითხვა. ამასაც-კი ვიტყვი, რომ თუ მშობლები არ აცდენდნენ ბავშვებს სწავლის დროს, საქმე უფრო კარგად წავიდოდა.

ჩვენს ბოდბისხეველებს თუ ჰკითხავ, ბ. ოქრუაშვილო, ეს ერთ-კლასიანი სკოლაც არ უნდათ. დღეში ათჯერ იტყვიან ხოლმე, „არ გვინდა სკოლა, დავკეტოთო“. ამასთანავე ბრძანებთ, ვითომც მასწავლებელი და მამასახლისი ჯიბის ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. ეს რა ნაირად, როგორ? მასწავლებელმა ჯამაგირის გარდა რა უნდა აიღოს სოფლიდგან? ერთი სიტყვით, მთელი კორესპონდენცია მოკლებულია სიმართლეს.

ბოდბისხევის სკოლის მასწავლებელი ი. ჯალიაშვილი.

◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

არ იქნა და ველარა ეშველა-რა ამ შავის ზღვის პირის ადგილებს. აი, როგორ მოსთქვამს და ჰგოდებს გოდებითა მით ერემიისათა „ნოვოე ვრემია“ (ქვეყნის გულისთვის წამებული, მისთვის ათას გზის შეჩვენებული) ამ ყბად-ასაღებსა და წყალ-წასაღებს ადგილებზედ:

„ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს,—მართალია ის ხმა, რომ სუხუმთან შავის ზღვის პირის ადგილები კოდორსა და ოჩამჩირეს შუა ერთის კერძო მემამულისაგან ბელგიის კომპანიას ჰსურს იყიდოსო. აქ საკვირველი სულაც არა არის-რა: კარგა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც უცხოელნი კავკასიის ბუნებრივს სიმდიდრეს დაესივნენ; სულ არ იქნება-

დიდი ხანი, რაც გაცნობეთ, როგორც ნამდვილად მომხდარი საქმე, რომ გროზნის ნავთის წყაროები ხანგრძლივის ვადით იჯარით მიეცა ინგლისელს კომპანიას. რასაკვირველია, ეს დიდად საწყენია ჩვენის პატრიოტულ თავმოყვარეობისათვის (!), რომ უცხოელნი ხელიდგან გვაცლიან სიმდიდრის წყაროს, და ჰბრაზდები (?!), როდესაც ჰხედავ, რომ ჩვენმა სქელ-ჯიბე ფულის პატრონებმა 'არ იციან, რანაირად მოიხმარონ ფული. ხოლო რაც შეეხება თვით ამ ადგილების უცხოელებისაგან ხელში ჩაგდებას, აქ-კი მარტო თავმოყვარეობასა და უკმაყოფილებას არა აქვს ადგილი. არა ერთხელ და ორჯელ, არამედ უანგარიშოდ თქმულა, რომ შავის ზღვის ნაპირის ადგილებს ფრიად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ უთუოდ საჭიროა, რუსებით დასახლდეს ეს მხარე. უცხოელთა გარდა ეს მხარე უმისოდაც მრავლად არის დასახლებული სხვა-და-სხვა ტომის ხალხით — სომხებით, ბერძნებით, აფხაზებით, მეგრელებითა და სხვა, რომლებიც, უფრო სასურველი იქნებოდა, შუაგულ კავკასიაში იყვნენ დასახლებულნი და არა ზღვის პირად, სადაც ყველაზედ ადვილად შეიძლება ასტყდეს ომი. აი, რა მიზეზია, რომ არა გვსურს ეს მხარე უცხოელების ხელში იყოს. გარდა ამისა, კორესპონდენტი იუწყება, რომ სულ იაფად ყიდულობს ბელგიის კომპანია ამ ადგილებსაო“.

და აი, თურმე ყველაზედ მწვავე ჭრილობა სადა ჰქონია „ნოვოე ვრემიას“. ყური დაუგდეთ, რას ამბობს ქვევით, როდესაც შეუტყვია, რომ ძალიან იაფად ისყიდება ეს ადგილიო:

— რატომ არ იყიდის მთავრობა ამ ადგილს და აქ რუსებს არ დაასახლებს? ეს ხომ შარშანვე გადასწყდა, რომ უთუოდ საჭიროა ამ მხარეში რუსის ელემენტი იყოს დასახლებულიო.

და ასაბუთებს ამ თავისს დასკვნას იმითი, რომ თვით მეურნეობის მინისტრმა სცნო საჭიროდ კავკასიაში მოგზაურობის დროს და კიდევაც დამტკიცდა, თუ რამდენად საზარალოა ასეთი გარემოებაო.

ჩვენის ფიქრით, არც ერთი ასეთი შემთხვევა ხელიდგან არ უნდა გავუშვათ, უნდა კერძო მამულების პატრონებისაგან ვყიდულობდეთ იაფ ფასად მიწებს და რუსს გლეხებს ვასახლებდეთ. ხოლო რაც შეეხება უცხოელებს, ამათ პირდაპირ უნდა აღვკრძალოთ აქ ადგილ-მამულის შეძენაო.

ძალიან კეთილი, მაგრამ ნეტავი შეგვატყობინა, რადა ჰგონია „ნოვოე ვრემიას“, რომ ეს რუსის გლეხები სწორედ აჰყვავებენ მდიდარს ბუნებას შავის ზღვის ნაპირისას, — ან რა კულტურა უნდა შეიტანონ ამ მხარეში რუსის გლეხებმა, რომლებიც მუდამ დღე მთავრობის ხელ-შემაყურებელნი არიან და რომლებიც, პირ-იქით, ამ მხარის ჰავის მსხვერპლად უნდა გარდიქმნენ, როგორც განუწყვეტელი მაგალითები გვიმტკიცებს? ჩვენ ამ საქმის შესახებ არა ერთხელ გვქონია გამოთქმული აზრი და ეხლაც ვიტყვით, რომ ტყუილად იტკიებენ თავს ეს სამშობლო ქვეყნის გულ-შემატკივარნი: არავითარი შიში არ მოელის მხარეს, თუ ეს ადგილები თვით კავკასიელ ადგილობრივ მცხოვრებლებით იქმნება დასახლებული და მათ ჰავაც ხელს უწყობთ, ენერგიაც შესწევთ, რომ შრომას ღირსეული ნაყოფი გამოაღებინონ. ხოლო რაც შეეხება უცხოელთა დასახლებას ამ მხარეში, პირიქით ცუდს-კი არა, კარგს ნიშნებს მოასწავებს; უცხოელნი კულტურით მაინც მაღლა სდგანან და მათი მაცქერალი ხალხი თვითონაც ამაღლდება, რადგანაც ბევრს რასმეს შეისწავლის ისეთს, რაც იქნება რუსის გლეხს არც-კი ეზმანოს.

—

აი რასა სწერს გაზ. „მოს. ვედ.“-ი გრაფის გოლუხოვსკის შესახებ: ავსტრი-უნგრეთის გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი გრაფი გოლუხოვსკი ცნობილია მთელს ევროპაში როგორც შვილი პოლონელთა საქმისა და პოლონელ პატრიოთა მოთავესი; ამიტომ პოლონელნი დიდად გახარებულნი არიან ამ გარემოებით; ამას ამტკიცებს აზრი ზოგიერთ პოლონელ დასთა, როგორც „მოს. ვედ.“-ის კორესპონდენტი იწერება:

„პოლონელთ ძალიან ეშინიანთ გრაფ გოლუხოვსკისა, რომელსაც თვისის მოქმედებით საქმის ვნება შეუძლიანო;“ ეს სიტყვები სწორედ ზედმიწევნით ახასიათებენ იმას, თუ რა აზრისანი არიან ავსტრიის პოლონელნი.

„რასაკვირველია, რუსეთს არავითარი უფლება და საფუძველი არა აქვს, რომ მეზობელ სახელმწიფოს შინაგან საქმეში ჩაერიოსო, — ამბობს „მოსკოვ. ვედ.“-ი, — მოიწონოს, ან უარ-ჰყოს ავსტრიის იმპერატორის არჩევანი, მაგრამ გამოსთქვას აზრი, თუ რა გავლენას იქონიებს ეს არჩევანი ავსტრი-უნგრეთის პოლიტიკაზედ, ამის უფლებას-კი ვერავინ წაართმევსო; პირიქით ეს არის ჩვენი პირდაპირი მოვალეობა. ჩვენ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ გრაფ გოლუხოვსკის დანიშვნა აიძულებს რუსეთს, უთუოდ ფრთხილად მოიქცეს ავსტრი-უნგრეთთან. ადვილი შესაძლებელია, რომ გრაფმა პოლონელთა ინტერესებს იმპერიის ინტერესები ამსხვერპლოს, ან უკან დასწიოს ეს უკანასკნელნი... ამიტომ მთავრობას დიდი სიფრთხილე ჰმართებს სხვა-და-სხვა საშუალებათა ხმარებაში სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც პოლონიზმი ჯერ კიდევ არ მოსპობილა და ხალხი კიდევ ოცნებობს თავისი დამოუკიდებლობა აღადგინოსო და სხ.

ერთი სიტყვით, გაზ. „მოსკ. ვედომ“-ი აფრთხილებს მთავრობას და დასძენს:

„ყოველს შემთხვევაში, რა დანიშნულება და აზრიც უნდა ჰქონდეს გრაფ გოლუხოვსკის გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშვნას, ვერავინ ვერ გვისაყვედურებს, რომ ჩვენი გაფრთხილება და რჩევა ან უადგილო და ან უდროო იყოს; უთუოდ „საჭიროა მუდამ ვდარაჯობდეთ,“ და ძველ რომაელებსავით ვსთქვათ: caveant consoules-ო!

◆ ◆

წერილი რედაქციის მიმართ.

—

„ივერიის“ № 98-ში დაბეჭდილი იყო შენიშვნა ერთის ძველ „ვეფხის-ტყაოსნის“ ვარიანტზედ, რომელიც თურმე მოიპოვება განსვენებულის თავ. რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში. ეს ხელთ-ნაწერი ქ. მოსკოვში ყოფილა შეძენილი, ნახატებიანი არშიები ჰქონია და ბევრი წარწერები თავსა და ბოლოში. ამასთანავე ნათქვამი იყო, რომ „განსვენებულის სახლობა ამ ხელთ-ნაწერს დაუთმობს მათ, ვინც მოისურვებს და ვეფხის ტყაოსნის ვარიანტების შესწავლას შეუდგებაო“.

რადგანაც ჩვენ განვიზრახეთ შეძლებისა დაგვარად ვეფხის ტყაოსნის ვარიანტთა შედარება დაბეჭდილს ტექსტთან, ამიტომ „ივერიისავე“ შემწეობით უმორჩილესად ვთხოვთ განსვენებულის თავ. რევაზ ჩოლოყაშვილის სახლობას, ცოტა ხნობით დაგვითმოს მათს ოჯახში შენახული ვარიანტი. ხელთ-ნაწერი შეიძლება გამოიგზავნოს წერა-კითხვის სახელობაზედ გადმოსაცემად ჩვენდა.

ვსარგებლობ-რა ამ შემთხვევით, უმორჩილესად ვთხოვთ აგრეთვე ყველას, ვისაც-კი აქვს ვეფხის ტყაოსნის ძველი ვარიანტი, დროებით გვათხოვონ.

გ. საძაგლოვი-ივერიელი.

—

ბატონო რედაქტორო! მე 103 ნომერში თქვენის გაზეთისა თავად-აზნაურთა ბანკის კრების ანგარიშში 16 მაისისა მოყვანილია შემდეგი სიტყვები ბ. ტატიშვილისა შესახებ 3700 მანეთის გამორიცხვისა სკოლის სმეტიდგან:

„დღეს თითონ სკოლის ინსპექტორმა მითხრა, რომ 3700 მან. უნდა გამოირიცხოსო. რად მივცეთ იმაზედ მეტი, რასაც თხოულობს; ვერა ხედავთ, რამდენი ქალები გვახვევია თავზედ გასაზრდელად, იმათ რატომ ან უნდა მივცეთ?“

ჭეშმარიტების აღსადგენად გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს მცირე შენიშვნას:

ბ-ნი მ. ვ. მაჩაბელი და ბ. ტატიშვილი მობრძანდნენ სკოლაში 16 მაისს, დილით, და გვკითხეს, გამოსარიცხია სკოლის სმეტიდგან 3,700 მანეთი, თუ არაო, მე გადაჭრით ვუპასუხე, რომ ამის შესახებ მე არაფერი არა ვიცი-რა, რადგანაც ბანკთან პირ-და-პირ მე საქმე არა მაქვს, არამედ საქმე მაქვს გამგე კომიტეტთან და მის ხაზინადართან და თუ გნებავთ, რა მიმღია ხაზინადარისაგან და რა დახარჯულა სკოლაზედ ამის ცნობას მოგართმევთ-მეთქი. სხვა ყველა ცნობების შესახებ კომიტეტის ხაზინადარს უნდა მიჰმართოთ-მეთქი. რომ ასეთი პასუხი მივეცი მათ, ეს სკოლის საზოგადო კრებაში აღიარა გუშინ, 18 მაისს, თითონ მ. ვ. მაჩაბელმა. აქედგან ცხადათ დაინახავთ, თუ რამდენად შემცდარია ბ-ნ ტატიშვილის სიტყვები.

გამგე ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა

ე. თაყაიშვილი.

19 მაისი,
1895 წ.

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 მაისი.

ბერლინი. კუნძულ ფორმოზის რესპუბლიკის წინამძღოლმა ისპანიის მეფეს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვს მფარველობას.

სოფია. სტამბულოვმა კიდევა სცადა მიეღო საზღვარ-გარედ წასასვლელი პასპორტი, რისთვისაც წარადგინა ექიმების მოწმობა და წერილი წინააღმდეგ სტოილოვისა, რომელშიაც ამბობს, რომ კრებამ სასამართლოს უფლებანი მიითვისაო, ასეთის შევიწროების მიზეზად სტამბულოვი ასახელებს მთავრობას, რომელიც კომისიის ზურგს უკან იფარებაო.

რომი. ოფიციალურად გამოცხადებულია: სულ 326 მთავრობის კანდიდატი, 102 ოპოზიციის კანდიდატი,, 31 რადიკალი და 14 სოციალისტი იქმნა ამორჩეული. ხელმეორედ კენჭს უყრიან 35, ამათში, როგორც ხმა ისმის, 19-ი კაბინეტის მომხრე იქნება, 7-ი ოპოზიციის კანდიდატი, 6 ი რადიკალი და 3-ი სოციალისტი.

ჰავრი. საფრანგეთის გემი „დონ-პედრო“ ქიმ კორუბენდოს ახლოს დაიღუპა. გემის კაპიტანი, 25 მატროსი და რამდენიმე მგზავრი გადარჩნენ. 100-ზედ მეტი კაცი დაიღუპა.

ლონდონი. პროექტი გაძლიერების შესახებ შეწყნარებულ იქმნა.

ჰონკონგი. იაპონიის ჯარი ფორმოზის კუნძულზედ მივიდა.

19 მაისი.

ლონდონი. გრეიმ წარმოსთქვა ერთ ნადიმზედ, რომ სამინისტროს გადადგომა სამსახურიდან მართალი არ არისო. ნადიმზედ დამსწრე იაპონიის ელჩმა განაცხადა, რომ იაპონიას სურს მხოლოდ თავისუფალი გზა გახსნას გარეშე ქვეყნებთან სავაჭროდ. ელჩი მადლობას სწირავს ინგლისს იმ ცხადის თანაგრძნობისათვის, რომელიც მან დაუმტკიცა იაპონიას.

◆ ◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბანინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც — 10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—ა)

Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Мая 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგებისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე